საიდ. №75039/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №26-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, უ. ოშხნელი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „ისთ ვესთ კაპიტალ“-ის სააპელაციო საჩივარი (საიდ. №26-03/16), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 24 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ №2330/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც კომბინირებულ სასაქონლო ნიშანში „Cash24” (საიდ. №75039/03) სიტყვიერ აღნიშვნას „Cash24” არ მიენიჭა დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა და აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია 36-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა, კერძოდ სესხების, მათ შორის ონლაინ სესხების გაცემა“.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 24 დეკემბრის №2330/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „cash24“ დარეგისტრირდა მთლიანობაში, ხოლო ნიშანში გამოყენებული სიტყვიერი აღნიშვნა „cash24“ არ წარმოადგენს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის ობიექტს.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი შპს „ისთ ვესთ კაპიტალი“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სიტყვიერი აღნიშვნისათვის „**Cash 24**“ სამართლებრივი დაცვის მინიჭებაზე უარის თქმა ემყარება ექსპერტიზის მცდარ ინტერპრეტაციას. აღნიშნული სიტყვათა წყობა ითარგმნება, როგორც „ნაღდი ფული 24“. მოცემულ კომბინაციას არ გააჩნია სემანტიკური დატვირთვა და არ არის რაიმე მნიშვნელობის მატარებელი, აქედან გამომდინარე ვერ იქნება აღწერილობითი. „**Cash 24**“ არის მოკლე, ლაკონური აღნიშვნა, რომელიც იძლევა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას, თუმცა მთავარია, რომ იგი ადვილად დაამახსოვრდება მომხმარებელს და ის მარტივად შეძლებს გაარჩიოს აპელანტის მომსახურება სხვა კომპანიების მსგავსი მომსახურებისგან, რაც გამორიცხავს განცხადებული ნიშნის კვალიფიცირებას, როგორც არაგანმასხვავებელუნარიანი, ან აღწერილობითი სიმბოლოსი. გარდა ამისა, მოცემული სიტყვათა კომბინაცია არ არის გავრცელებული და დანერგილი არც დაზღვევის, არც ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობის, არც ფულად-საკრედიტო ოპერაციების და არც უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციების სფეროში, ანუ იმ მომსახურებასთან მიმართებაში, რომლისთვისაც

მოითხივება ნიშნის რეგისტრაცია, რაც, ასევე, გამორიცხავს აღნიშვნის განხილვას, როგორც სამოქალაქო ბრუნვაში ისეთი საქონლისათვის (მომსახურებისათვის) დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, რომლისთვისაც მოითხოვება რეგისტრაცია. აპელანტის პოზიციით, ასევე, გაუგებარია საქპატენტის ექსპერტიზის არაერთგვაროვანი მიდგომა ნიშნების არაგანმასხვავებელუნარიანობის დადგენის კუთხით და ამის შედეგად განხორციელებული ქვემოთ მოყვანილი ნიშნების რეგისტრაცია იმავე 36-ე კლასის საქონლისათვის. ასეთი ნიშნებია, მაგალითად, Expresscard ექსპრესქარდი; Expressbank ექსპრესბანკი; Expresspay ექსპრესფეი; Expressonline ექსპრესონლაინი; Expressbox ექსპრესბოქსი; Expressterminal ექსპრესტერმინალი; ექსპრესბარათი (იხ. დანართი 3). 36-ე კლასის მიმართ ასევე რეგისტრირებულია ნიშნები Wealth; საქართველოს ბარათი Card of Georgia; ePay; iPay; creditO.ge ; iPAY.ge ; EXPRESS PAY . მოყვანილი მაგალითების ფონზე გაუგებარია, რატომ ჩათვალა ექსპერტიზამ, რომ აღნიშვნას „**Cash 24**“ არ უნდა მიენიჭოს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 24 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ №2330/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც კომბინირებულ სასაქონლო ნიშანში „Cash24” (საიდ. №75039/03) სიტყვიერ აღნიშვნას „Cash24” არ მიენიჭა დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა და აღნიშნული ნიშნის რეგისტრაციას 36-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა, კერძოდ სესხების, მათ შორის ონლაინ სესხების გაცემა“.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანში (საიდ. №75039/03) გამოყენებული სიტყვიერი აღნიშვნა „Cash24” არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას, ვინაიდან იგი არაგანმასხვავებელუნარიანია 36-ე კლასის განცხადებული მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა, კერძოდ სესხების, მათ შორის ონლაინ სესხების გაცემა“, რადგან ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „cash“ ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ნაღდი ფული“, „ფული“. ხოლო ნიშანში გამოყენებული სიმბოლო „24“, აღნიშვნასთან - „cash“ კომბინაციაში ქმნის 24 საათიანი მომსახურების ასოციაციას, ვინაიდან „24“ ფულად-საკრედიტო ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურებისათვის ფართოდ გამოიყენება, როგორც 24 საათიანი მომსახურების აღმნიშვნელი სიმბოლო. ამასთან, მართალია მხარემ შეზღუდა მომსახურების ჩამონათვალი, მაგრამ შეზღუდული მომსახურების პირობებში, მაინც არსებობს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან ისეთი მომსახურება, როგორიც არის სესხი, ონლაინ სესხი და ფინანსებთან დაკავშირებული მომსახურება, დაკავშირებულია ფულთან და ფულად-საკრედიტო ოპერაციებთან, შესაბამისად ნიშნის სიტყვიერი აღნიშვნა „Cash24” არაგანმასხვავებელუნარიანია განცხადებული მომსახურების მიმართ და არ წარმოადგენს ფანტაზიურ აღნიშვნას. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი მომხმარებელს მიუთითებს, რომ შესაძლებელია ნაღდი ფულის მიღება 24 საათის განმავლობაში ფულად-საკრედიტო ოპერაციების საფუძველზე. ამასთან, მართალია მხარემ შეზღუდა მომსახურების ჩამონათვალი, მაგრამ შეზღუდული მომსახურების

პირობებში, მაინც არსებობს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან ისეთი მომსახურება, როგორიც არის სესხი, ონლაინ სესხი და ფინანსებთან დაკავშირებული მომსახურება, დაკავშირებულია ფულთან და ფულად-საკრედიტო ოპერაციებთან, შესაბამისად ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანია განცხადებული მომსახურების მიმართ და არ წარმოადგენს ფანტაზიურ ნიშანს. ამასთან, მართალია მხარემ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განმცხადებლის ინტერნეტ გვერდიდან ამონაბეჭდი ნიშნის გამოყენებაზე, მაგრამ კოლეგიას მიაჩნია, რომ ვინაიდან წარმოდგენილი ამონაბეჭდი არ შეიცავს ინფორმაციას აღნიშნული საიტის მნახველთა რაოდენობის შესახებ, ასევე იმ მომხმარებელთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც განცხადებული ნიშნის ქვეშ სარგებლობენ შესაბამისი მომსახურებით, აღნიშნული მტკიცებულება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების შედეგად, ნიშნის განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრების ფაქტი განაცხადში მითითებული მომსახურების მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „Cash24" უნდა დარეგისტრირდეს მთლიანობაში, სიტყვიერი აღნიშვნისათვის „Cash24" დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ისთ ვესთ კაპიტალ"-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 24 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ" №2330/03 ბრძანება.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

უ. ოშხნელი